აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Automous Republic of Ajara

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის

2021-2022 წლების

სამოქმედო გეგმა

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Automous Republic of Ajara

UNDP

სამოქმედო გეგმა შექმნილია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მისი ავტორი და შესაძლოა, იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) შეხედულებებს.

კომიტეტის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი (შემდგომ - კომიტეტი) ემსახურება ავტონომიურ რესპუბლიკაში კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული მმართველობის სისტემის დამკვიდრებას და მოქალაქეთა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დაცვას. კომიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტისა და კომიტეტის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოვალეობათა ფარგლებში. აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი კანონშემოქმედებით, საზედამხედველო და წარმომადგენლობითი ფუნქციების განხორციელებისას ხელმძღვანელობს ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობის, პასუხისმგებლობის, ინკლუზიურობის, ეფექტურობისა და ეფექტიანობის აღიარებული პრინციპებით.

სოფლის მეურნეობა და მისი შემდგომი განვითარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტული სფეროა. რეგიონში სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა და სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება დამოკიდებულია ადგილობრივი პროდუქციის წარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდაზე, თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვაზე, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარებასა და აგრარულ სექტორში დასაქმებულების ცოდნის გაფართოებაზე.

საკუთარი საკანონმდებლო და საზედამხედველო ფუნქციების განხორციელებით კომიტეტი ხელს უწყობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი (უსაფრთხო) გარემოს შენარჩუნებას და გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან დაცვას; სოფლის მეურნეობის სტაბილურ ზრდას, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას; გარემოსათვის ატმოსფერული ჰაერის უსაფრთხო მდგომარეობის მიღწევას, შენარჩუნებას და გაუმჯობესებას; წყლის მავნე ზემოქმედების აცილებას, წყლის ობიექტების დაცვას და წყლის რესურსების რაციონალურ გამოყენებას დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით; თვითმყოფადი ბუნებრივი და კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების, მათ შორის: მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს, ბიომრავალფეროვნების, ლანდშაფტის, ტყეში არსებულ მცენარეთა იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების მომავალი თაობებისათვის შენარჩუნებას და დაცვას.

ეფექტიანი საქმიანობისთვის კომიტეტს მნიშვნელოვნად მიაჩნია საზოგადოებასთან/დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება და კომიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

ამასთან, დასახული მიზნების მიღწევისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება კომიტეტის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერებას.

კომიტეტის სამოქმედო გეგმის შემუშავება-განხილვაში ჩართულნი იყვნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მუნიციპალიტეტების, ადგილობრივი თვითმართველობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები. კონსულტაციების პროცესში დაინტერესებული პირების მიერ გამოთქმული მოსაზრებების, წინადადებების და რეკომენდაციების გათვალისწინებით სამოქმედო გეგმაში აისახა სამი საკითხი: ატმოსფერული ჰაერის, ჩამდინარე და ზედაპირული წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლის მონიტორინგის ანგარიშის მოსმენა; აჭარის სანაპირო ზოლის ზღვის წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა და დაცული ტერიტორიების (ქობულეთი, კინტრიში, მტირალა, მაჭახელა) მიმდებარე დასახლებებში ადგილობრივი თემის პრობლემების და საჭიროებების განხილვა, მათი მოგვარების მიზნით შესაბამის უწყებებთან, ორგანიზაციებთან, მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა (შეშით ან ალტერნატიული საწვავით უზრუნველყოფა; მტაცებელი ცხოველების კონტროლი, ტურიზმი, ინფრასტრუქტურა, მდგრადი სოფლის მეურნეობა).

კონსულტაციების პროცესში ასევე დაისვა ზოგიერთი ისეთი საკითხი, რომლებიც ცენტრალურ დონეზეა გადასაწყვეტი, თუმცა კომიტეტს შესაძლებლად მიაჩნია შესაბამისი ინიციატივის მომზადება (მიწის ნაკვეთებზე ქონების უფლების გამიჯვნასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ინიციატივა; მიწის ნაკვეთების სისტემურ სპორადულ რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები; ტყის საკუთრების საკანონმდებლო დონეზე ასახვა; სამონადირეო საქმიანობასთან დაკავშირებით; კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებით).

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით კომიტეტს შესაძლებლად მიაჩნია ერთობლივი კომისიის/სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელშიც ჩართული იქნება: აგრარული, იურიდიული, საფინანსო და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხთა კომიტეტები, აღმასრულებელი ხელისუფლების, დარგობრივი და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები), რომელთა ჩართულობით განსაზღვრული იქნა კომიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებები.

გეგმით გათვალისწინებული აქტივობები ეფუძნება კომიტეტის გამოცდილებას, ითვალისწინებს არსებულ შესაძლებლობებს და გამოწვევებს. ამასთან, გეგმა ითვალისწინებს სათანადო მოქნილობის საჭიროებასაც. 2022 წლის დასაწყისში გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის განახლების შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ საჭიროებებსა და გამოწვევებზე კომიტეტის ეფექტიან რეაგირებას.

კომიტეტის სტრატეგია

კომიტეტის წევრების, აპარატის თანამშრომლებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობით კომიტეტმა 2021-2022 წლებში საქმიანობის ოთხი სტრატეგიული მიზანი დაისახა:

1. **კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესება**
2. **საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერება**
3. **საზოგადოებასთან ეფექტიანი ურთიერთობა და ანგარიშვალდებულებების უზრუნველყოფა**
4. **ორგანიზაციული საქმიანობა და შესაძლებლობის გაძლიერება**

სტრატეგიული მიზანი 1:
კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესება

საკანონმდებლო პროცესის გაუმჯობესებისა და რეგიონში აგრარული და გარემოს დაცვით პოლიტიკის მიზნების სრულად განხორციელების მიზნით კომიტეტი გააააქტიურებს საკუთარ საკანონმდებლო საქმიანობას. ახალი კანონმდებლობის მომზადებისა და დანერგვის პროცესში კომიტეტის მუშაობის მეტი ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, კომიტეტს უმნიშვნელოვანესად მიაჩნია ნაყოფიერი, ეფექტური და მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან, სახელმწიფო და ადგილობრივ სამთავრობო სტრუქტურებთან, სამეცნიერო წრეებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან. ასეთი თანამშრომლობა შესაძლებელს გახდის, შემუშავდეს უფრო ქმედითი და აღსრულებადი, რეალისტური და მეცნიერულად დასაბუთებული კანონმდებლობა.

სტრატეგიული მიზანი 2:
საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერება

კომიტეტის საზედამხედველო საქმიანობა მიზნად ისახავს ხელისუფლების მიერ დასახული მიზნების მიღწევის ეფექტიან კონტროლს და მონიტორინგს, რათა დროულად გამოვლინდეს და აღმოიფხვრას პოლიტიკის განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზები.

კომიტეტი საბიუჯეტო გეგმიდან გადახვევის შემთხვევაში რეგულარულად მოითხოვს ინფორმაციას შესაბამისი უწყებებისაგან, დანიშნავს შესაბამის განხილვებს და გასცემს საჭირო რეკომენდაციებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დასახული მიზნებისა და პრიორიტეტების განხორციელება შეფასდება ხარჯების რაციონალურად გამოყენებისა და მიღწეული შედეგების მიხედვით. ამ პროცესში კომიტეტი აქტიურად ითანამშრომლებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან.

მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება მოითხოვს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ერთობლივ ძალისხმევას. შესაბამის შემთხვევებში, კომიტეტი უზრუნველყოფს საკითხების ერთობლივი გადაწყვეტისთვის საჭირო კოორდინაციას.

სტრატეგიული მიზანი 3:
საზოგადოებასთან ეფექტიანი ურთიერთობა და ანგარიშვალდებულებების უზრუნველყოფა

საზოგადოების უკეთ ინფორმირების და მის წინაშე ანგარიშვალდებულების მიზნით კომიტეტი იზრუნებს საკუთარი საქმიანობის გამჭვირვალობაზე და მასში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობაზე.

კომიტეტის საქმიანობაზე ინფორმაციის ეფექტიანი და იოლი წვდომისათვის, აჭარის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე ინფორმაცია რეგულარულად განახლდება, რათა დაინტერესებულ პირებს მიეცეთ საშუალება, ადვილად მოიძიონ მათთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია და ინფორმაცია.

ამავე მიზნით, კომიტეტი გაითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს შემუშავებული სამოქმედო გეგმებით გაწერილ ვალდებულებებს, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს კომიტეტის მუშაობის გამჭვირვალობასა და საკანონმდებლო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას. ამ პრინციპების დაცვა გააუმჯობესებს კომიტეტის საქმიანობის როგორც საბოლოო შედეგებს, ასევე გაზრდის საზოგადოების ცოდნას უმაღლესი საბჭოსა და კომიტეტის როლის შესახებ.

კომუნიკაცია ადგილობრივ თვითმმართველობასთან, აკადემიურ და სამეცნიერო წრეებთან, მათ მიერ დაგროვებული გამოცდილების გამოყენება და თანამშრომლობა ფერმერთა და აქტიურ მოქალაქეთა გაერთიანებებთან (ა.მ.გ.) გამოავლენს იმ პრობლემებს, რომლებიც აჭარის რეგიონის სოფლის მეურნეობის სფეროს წინაშე დგას. ეს პროცესი გაადვილებს გამოვლენილი გამოწვევების დაძლევის გზების მოძიებას.

სამოქალაქო საზოგადოებასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გაძლიერება და გაუმჯობესება კომიტეტის საქმიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. კომიტეტი რეგულარულად მოაწყობს მათთან შეხვედრებს, რათა სამოქალაქო ორგანიზაციებს საშუალება მიეცეთ მონაწილეობა მიიღონ კონკრეტული საკითხების განხილვებში და შედეგების შეფასებაში.

კომიტეტი პერიოდულად ითანამშრომლებს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან სურსათის უსაფრთხოების, მიწათსარგებლობის, საოჯახო მეურნეობების განვითარების საკითხებზე და რეგულარულად დაინტერესდება მათი კვლევის შედეგებით.

კომიტეტი, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად იზრუნებს ფერმერებისა და აქტიურ მოქალაქეთა გაერთიანებების (ა.მ.გ.) ინფორმირებულობის ზრდაზე სოფლის მეურნეობის გაძღოლისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების, აგრეთვე სოფლის ტერიტორიებზე წყლის, მიწის, ტყისა და სხვა რესურსების მართვის გაუმჯობესების საკითხებზე. კომიტეტი რეგულარულად შეიმუშავებს საკუთარი საქმიანობის ანგარიშს და უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილი დეპარტამენტის მეშვეობით უზრუნველყოფს მის დროულ განთავსებას აჭარის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

სტრატეგიული მიზანი 4:
კომიტეტის ორგანიზაციული საქმიანობა და შესაძლებლობის გაძლიერება

ორგანიზაციული მართვის სრულყოფა ხელს შეუწყობს კომიტეტის მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების ეფექტიანად განხორციელებას. ამ მიზნით პერიოდულად განხორციელდება ორგანიზაციული განვითარების შეფასება სხვადასხვა მაჩვენებლით (სხდომებზე დასწრება, საკანონმდებლო და საზედამხედველო საქმიანობის მენეჯმენტი, კოორდინაციის ეფექტიანობა, კადრების განვითარება, დისციპლინა, დოკუმენტბრუნვა და სხვ.) და გაგრძელდება მისი შემდგომი სრულყოფის ღონისძიებები.

კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს კომიტეტის აპარატის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება და მათი მომზადება სოფლის მეურნეობის განვითარების და გარემოსდაცვით სხვადასხვა თემატურ საკითხში.

კომიტეტის წევრების და აპარატის თანამშრომელთა მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებაში (თემატური შეხვედრები, სემინარები და კონფერენციები) მნიშვნელოვნად დაეხმარება კომიტეტს საუკეთესო გამოცდილების გაზიარებით დანერგოს კარგი პრაქტიკა საკანონმდებლო და საზედამხედველო სფეროებში.

კომიტეტის საქმიანობის 2021-2022 წლის სამოქმედო გეგმა დაექვემდებარება პერიოდულ მონიტორინგს, რომლის მიზანია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების ანალიზის შედეგად შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

კომიტეტის მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად, მნიშვნელოვანია კომიტეტის აპარატის თანამშრომლებს შორის ფუნქციების და ამოცანების ოპტიმალური გადანაწილება (მათ შორის, არსებული სამუშაო აღწერილობების განახლება).

კომიტეტის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ჩართულია კომიტეტის აპარატის ყველა თანამშრომელი. კომიტეტის აპარატის უფროსი პასუხისმგებელია თანამშრომლების საქმიანობაზე, სხვადასხვა ორგანიზაციასთან კოორდინაციაზე და მათ ჩართულობაზე კომიტეტის საქმიანობაში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის
2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა

მიზანი 1. კომიტეტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესება

№	აქტივობა	პასუხისმგებელი კომიტეტის წევრი	პასუხისმგებელი პირი აპარატიდან	შესრულების ვადა	შესრულების ინდიკატორი	ვერიფიკაციის წყარო
1.1	კომიტეტში შემოსული კანონპროექტების ანალიზი და განხილვა	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე დ. წულუკიძე	რეგულარულად	შესაბამისი ანალიზი ჩატარებულია, დასკვნები შემუშავებულია, კომიტეტის სხდომები ჩატარებულია	ოქმი, კომიტეტის დასკვნა
1.2	საქართველოს პარლამენტიდან შემოსული კანონპროექტების განხილვა, საქართველოს კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე დ. წულუკიძე	რეგულარულად	კომიტეტის სხდომები ჩატარებულია, დასკვნები შემუშავებულია	ოქმი, კომიტეტის დასკვნა
1.3	საკანონმდებლო საქმიანობის დაგეგმვის მიზნით საქართველოს დარგობრივ სამინისტროებთან და საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან კოორდინაცია	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე	რეგულარულად	შეხვედრები ჩატარებულია, წინადადებები შემუშავებულია	წინადადებები
1.4	აჭარის მთავრობასთან და თვითმმართველ ორგანოებთან სამუშაო შეხვედრის/შეხვედრების ჩატარება შესაძლო საკანონმდებლო ინიციატივებთან დაკავშირებით (მიწა, მაჭახელა, ტყე, ჩირუხის მთა)	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	საშემოდგომო სესია	შეხვედრები ჩატარებულია, რეკომენდაციები შემუშავებულია	რეკომენდაცია, წინადადებები
1.5	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის და პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა	ფ. ფუტკარაძე მ. გვიანიძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	საშემოდგომო სესია	კომიტეტის სხდომა ჩატარებულია, დასკვნა შემუშავებულია	ოქმი, კომიტეტის დასკვნა
1.6	რეგიონის სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის სექტორის წარმომადგენლებთან - მეციტრუსეებთან, მევენახეებთან, მეხილეებთან, მებაღეებთან, მეცხოველეებთან, მეფუტკრეებთან, მეთევზეებთან, მეტყევეებთან კონსულტაცია საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგების თაობაზე	ფ. ფუტკარაძე ტ. აროშიძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	2021 წლის საშემოდგომო სესია/2022 წლის საგაზაფხულო სესია	შეხვედრები ჩატარებულია, რეკომენდაციები შემუშავებულია	რეკომენდაცია, წინადადებები

მიზანი 2. კომიტეტის საზედამხედველო საქმიანობის გაძლიერება

ამოცანა 2.1. ზედამხედველობის განხორციელება საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობაზე

№	აქტივობა	პასუხისმგებელი კომიტეტის წევრი	პასუხისმგებელი პირი აპარატიდან	შესრულების ვადა	შესრულების ინდიკატორი	ვერიფიკაციის წყარო
2.1	სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველწლიური ანგარიშის მოსმენა 2020-2021 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ.ჯინჭარაძე	2021-2022 წლების საგაზაფხულო სესია	კომიტეტის სხდომები ჩატარებულია, ანგარიში განხილულია	ოქმი, კომიტეტის დასკვნა, რეკომენდაცია
2.2	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ყოველწლიური ანგარიშის მოსმენა 2020-2021 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	2021 წელი ივნისი, 2022 წლის საგაზაფხულო სესია	კომიტეტის სხდომები ჩატარებულია, ანგარიში განხილულია	ოქმი, კომიტეტის დასკვნა, რეკომენდაცია
2.3	სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ყოველწლიური ინფორმაციის მოსმენა 2020-2021 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	2021 წელი ივნისი, 2022 წლის საგაზაფხულო სესია	კომიტეტის სხდომები ჩატარებულია, ანგარიში განხილულია	ოქმი, კომიტეტის დასკვნა, რეკომენდაცია
2.4	სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციის მოსმენა 2021-2022 წლებში საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	2021 წელი ივნისი, 2022 წლის საგაზაფხულო სესია	კომიტეტის სხდომები ჩატარებულია, ინფორმაცია განხილულია	ოქმი, რეკომენდაცია
2.5	სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის“ 2020-2022 წლებში გაწეული საქმიანობის ინფორმაციის მოსმენა	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	2021 წელი ივნისი, 2022 წლის საგაზაფხულო სესია	კომიტეტის სხდომები ჩატარებულია	ოქმი, რეკომენდაცია
2.6	სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციის მოსმენა 2021-2022 წლების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების მიმდინარეობისა და შესრულების შესახებ	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	2021-2022 წლების საგაზაფხულო/ საშემოდგომო სესია	კომიტეტის სხდომები ჩატარებულია, საკითხი განხილულია	ოქმი, რეკომენდაცია
2.7	სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ინფორმაციის მოსმენა 2021-2022 წლების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების მიმდინარეობისა და შესრულების შესახებ	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	2021-2022 წლების საგაზაფხულო/ საშემოდგომო სესია	კომიტეტის სხდომები ჩატარებულია, საკითხი განხილულია	ოქმი, რეკომენდაცია
2.8	ატმოსფერული ჰაერის, ჩამდინარე და ზედაპირული წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლის მონიტორინგის ანგარიშის მოსმენა	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე დ. წულუკიძე	2021-2022 წლები რეგულარულად	საკითხი განხილულია	ოქმი
2.9	აჭარის სანაპირო ზოლის ზღვის წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე დ. წულუკიძე	2021-2022 წლები რეგულარულად	საკითხი განხილულია	ოქმი

2.10	სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციის მოსმენა მცენარეთა მავნებლების და დავადებების წინააღმდეგ ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	2021-2022 წლები რეგულარულად	კომიტეტის სხდომები ჩატარებულია, საკითხი განხილულია	ოქმი
2.11	სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციის მოსმენა ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა მიმდინარეობის შესახებ	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	2021-2022 წლები რეგულარულად	კომიტეტის სხდომები ჩატარებულია	ოქმი, რეკომენდაცია
2.12	სატყეო სააგენტოს ინფორმაციის მოსმენა 2021-2022 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ (სანიტარული ჭრა, ზამთრისათვის მზადება)	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე დ. წულუკიძე	2021-2022 წლების საშემოდგომო სესია	კომიტეტის სხდომები ჩატარებულია	ოქმი, რეკომენდაცია
2.13	სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციის მოსმენა ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადებისა და რეალიზაციის ხელშემწყობ ღონისძიებათა შესახებ	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	2021-2022 წლების საშემოდგომო სესია	კომიტეტის სხდომები ჩატარებულია	ოქმი, რეკომენდაცია
2.14	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ინფორმაციის მოსმენა 2021 წლის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების მიმდინარეობისა და შესრულების შესახებ	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე დ. წულუკიძე	2021 წლის საშემოდგომო სესია/2022 წლის საგაზაფხულო სესია	კომიტეტის სხდომები ჩატარებულია	ოქმი, რეკომენდაცია
ამოცანა 2.2. ფინანსური (საბიუჯეტო) ზედამხედველობის ეფექტიანი განხორციელება						
2.2.1	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020-2021 წლების რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვა	ფ. ფუტკარაძე კომიტეტის შემადგენლობა	ჯ. კურცხალიძე ა. დუმბაძე	მაისი	კომიტეტის სხდომა ჩატარებულია, დასკვნა შემუშავებულია	ოქმი, დასკვნა
2.2.2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021-2022 წლების რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების 3 თვის ანგარიშის განხილვა	ფ. ფუტკარაძე კომიტეტის შემადგენლობა	ჯ. კურცხალიძე ა. დუმბაძე	ივნისი	კომიტეტის სხდომა ჩატარებულია, დასკვნა შემუშავებულია	ოქმი, დასკვნა
2.2.3	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021-2022 წლების რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიშის განხილვა	ფ. ფუტკარაძე კომიტეტის შემადგენლობა	ჯ. კურცხალიძე ა. დუმბაძე	სექტემბერი	კომიტეტის სხდომა ჩატარებულია, დასკვნა შემუშავებულია	ოქმი, დასკვნა
2.2.4	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022-2023 წლების რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განხილვა	ფ. ფუტკარაძე კომიტეტის შემადგენლობა	ჯ. კურცხალიძე ა. დუმბაძე	საშემოდგომო სესია	კომიტეტის სხდომა ჩატარებულია, დასკვნა შემუშავებულია	ოქმი, დასკვნა
2.2.5	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021-2022 წლების რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიშის განხილვა	ფ. ფუტკარაძე კომიტეტის შემადგენლობა	ჯ. კურცხალიძე ა. დუმბაძე	ნოემბერი	კომიტეტის სხდომა ჩატარებულია, დასკვნა შემუშავებულია	ოქმი, დასკვნა

მიზანი 3. კომიტეტის საზოგადოებასთან ეფექტიანი ურთიერთობა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა

№	აქტივობა	პასუხისმგებელი კომიტეტის წევრი	პასუხისმგებელი პირი აპარატიდან	შესრულების ვადა	შესრულების ინდიკატორი	ვერიფიკაციის წყარო
3.1	კომიტეტის გასვლითი შეხვედრები სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებთან, საოჯახო მეურნეობებთან, ფერმერებთან, თვითმმართველობის და საზოგადოების წარმომადგენლებთან სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	რეგულარულად	შეხვედრები ჩატარებულია, რეკომენდაციები შემუშავებულია	რეკომენდაციები, წინადადებები, მედიაში გასული ინფორმაცია
3.2	სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან საინფორმაციო ღონისძიებების ჩატარება სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის საკითხების პოპულარიზაციის მიზნით	ფ. ფუტკარაძე ნ. ვარშანიძე მ. გვიანიძე	ჯ. კურცხალიძე დ. წულუკიძე	2021 წლის საშემოდგომო სესია/2022 წლის საგაზაფხულო სესია	შეხვედრები ჩატარებულია	შეხვედრების განრიგი მონაწილეთა სია
3.3	სამეცნიერო საზოგადოებასთან კონსულტაციები	ფ. ფუტკარაძე მ. გვიანიძე ნ. ვარშანიძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	პერიოდულად (კვარტალში ერთხელ)	შეხვედრები ჩატარებულია	რეკომენდაცია, წინადადებები, შეხვედრების დღის წესრიგი და მონაწილეთა სია
3.4	არასამთავრობო სექტორთან, დონორებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა	ფ. ფუტკარაძე ტ. არუშიძე	ჯ. კურცხალიძე დ. წულუკიძე	კვარტალურად არასასესიო პერიოდი	კვარტალური შეხვედრები ჩატარებულია	რეკომენდაცია, წინადადებები, შეხვედრების დღის წესრიგი და მონაწილეთა სია
3.5	მონადირეთა და მეთევზეთა ასოციაციის წევრებთან შეხვედრა	ფ. ფუტკარაძე	ჯ.კურცხალიძე დ. წულუკიძე	2021 წლის საშემოდგომო სესია/2022 წლის საგაზაფხულო სესია	შეხვედრები ჩატარებულია, რეკომენდაციები შემუშავებულია	რეკომენდაცია, წინადადებები, შეხვედრების დღის წესრიგი და მონაწილეთა სია
3.6	დაცული ტერიტორიების (ქობულეთი, კინტრიში, მტირალა, მაჭახელა) მიმდებარე დასახლებებში ადგილობრივი თემის პრობლემების და საჭიროებების განხილვა, მათი მოგვარების მიზნით შესაბამის უწყებებთან, ორგანიზაციებთან, მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა (შეშით ან ალტერნატიული საწვავით უზრუნველყოფა. მტაცებელი ცხოველების კონტროლი, ტურიზმი, ინფრასტრუქტურა, მდგრადი სოფლის მეურნეობა)	ფ. ფუტკარაძე	ჯ.კურცხალიძე დ. წულუკიძე	2021-2022 წლების საშემოდგომო სესია	შეხვედრები ჩატარებულია, რეკომენდაციები შემუშავებულია	რეკომენდაცია, წინადადებები, შეხვედრების დღის წესრიგი და მონაწილეთა სია

3.7	სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის განვითარების საბჭოს საქმიანობაში ჩართულობა	ფ. ფუტკარაძე მ. გვიანიძე	ჯ.კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	2021 წლის საშემოდგომო სესია/2022 წლის საგაზაფხულო სესია	შეხვედრები ჩატარებულია რეკომენდაციები შემუშავებულია	რეკომენდაცია, წინადადებები, ანგარიშებში ასახული ინფორმაცია
3.8	შემოსული კორესპონდენციის სტატისტიკა და ანალიზი	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე დ. წულუკიძე	რეგულარულად	საინფორმაციო დოკუმენტი მომზადებულია	საინფორმაციო დოკუმენტი
3.9	მოქალაქეთა მიღება	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე გ. დავითაძე	რეგულარულად	შეხვედრები ჩატარებულია	რეკომენდაცია
3.10	მოქალაქეთა განცხადებების განხილვა და პასუხების მომზადება	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე დ. წულუკიძე	რეგულარულად	წერილები მომზადებულია	რეკომენდაცია, შუამდგომლობა
3.11	ვებ გვერდზე კომიტეტის დებულების და სამოქმედო გეგმის განთავსება	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე გ. დავითაძე	2022 წლის იანვარი	შესაბამისი ინფორმაცია განთავსებულია	ვებგვერდი
3.12	ვებგვერდზე კომიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის დროულად ატვირთვა	ფ. ფუტკარაძე	ჯ.კურცხალიძე გ. დავითაძე	პერიოდულად	შესაბამისი ინფორმაცია განთავსებულია	ვებგვერდი
3.13	კომიტეტის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის წარდგენა დაინტერესებული პირებისა და მედიისთვის	ფ. ფუტკარაძე	ჯ.კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე		შეხვედრა ჩატარებულია	მედიით გავრცელებული ინფორმაცია, მონაწილეთა სია, დღის წესრიგი

მიზანი 4. კომიტეტის ორგანიზაციული საქმიანობა და შესაძლებლობების გაძლიერება

№	აქტივობა	პასუხისმგებელი კომიტეტის წევრი	პასუხისმგებელი პირი აპარატიდან	შესრულების ვადა	შესრულების ინდიკატორი	ვერიფიკაციის წყარო
4.1	აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის მომზადება და წარდგენა უმაღლესი საბჭოსთვის	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	აგვისტო სექტემბერი 2021 და 2022 წლები	ანგარიში მომზადებულია და წარდგენილია უმაღლესი საბჭოსთვის	ოქმი, ანგარიში
4.2	კომიტეტის წევრებსა და აპარატის თანამშრომლებს შორის ფუნქციების გადანაწილება	კომიტეტის ყველა წევრი	ჯ. კურცხალიძე	პერიოდულად	შეხვედრები ჩატარებულია	ოქმი
4.3	კომიტეტის 2022 წლის სამოქმედო გეგმის განახლება დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციის შედეგად	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	2022 წლის საგაზაფხულო სესიის დაწყებისთანავე	გეგმა განახლებულია, დაინტერესებული პირების მონაწილეობა უზრუნველყოფილია	განახლებული გეგმა, შეხვედრის/ შეხვრედრების მონაწილეთა სია
4.4	კომიტეტის აპარატის დებულების და თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების გადახედვა	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე ნ. ჯინჭარაძე	წელიწადში ერთხელ	დოკუმენტი მომზადებულია	განახლებული დოკუმენტები
4.5	თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების გადახედვა	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე	საშემოდგომო სესია	სამუშაო აღწერილობა განახლებულია	განახლებული სამუშაო აღწერილობები
4.6	თანამშრომელთა შეფასების ჩატარება	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე	წელიწადში ორჯერ	შეფასება ჩატარებულია	შეფასების აქტი
4.7	შეფასების შედეგად თანამშრომელთა პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება		ჯ. კურცხალიძე	წელიწადში ერთხელ	გეგმა შემუშავებულია	გეგმა
4.8	კომიტეტის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა შესაძლებლობათა გაძლიერება (თემატური ტრენინგები)	ფ. ფუტკარაძე	ჯ. კურცხალიძე	რეგულარულად	შესაბამისი ტრენინგები ჩატარებულია	სერთიფიკატი